

რევოლუციური პარტია

რედაქცია (ღაა 9-2 და 5-7).

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფინხაძის სახლი. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ქანტორა (ღაა 9-2 და 5-7).

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. სამგლოვარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

ქვრივი მარიამ იაკობის ასული, შვილები ლევან, არჩილ და ლილი, დედა ელისაბედ სიმონის ასული ძმები მიხაილ, რაფიელ და გაბრიელ იოსების ძენი გოკიელები ოჯახითურთ უღრმეს მადლობას უძღვნიან ამიერ-კავკასიის ბანკის გამგეობას, ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა „ახალ კოლხიდის“ აზნაურობას და აგრეთვე ყველა იმ პირთ, ვინც პირადად, წერილით ან ღებუთით თანაგრძნობა გამოუცხადეს მწუხარებაში მყოფ ქირისუფლებს მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

პ ი ტ რ ე ს

უღროვით გარდაცვალების გამო.

ახალი გეგმობითი.

კურსებიდან ჩამოვიდა ჩემინაცნობი, რომელიც სათემო ერობის ხმოსნად არის არჩეული, და შემომ ჩივლა:

რამდენი ხანია, რომ აგვირჩიეს, სამაზრო ერობის მიერ დამტკიცებას კი ვეღარ ვეღირსეთ. თუ კანონიერად ვართ არჩეული, რატომ არ გვამტკიცებენ; თუ არა, — კეთილშინებონ და ახალი არჩევნები მოახდინონ. შიმშილობა კარს გვაღვია, მაგრამ, რადგანაც სათემო საბჭო დამტკიცებული არ არის, შიმშილობასთან ბრძოლის თადარიგი შეუძლებელია.

დავეკითხე სამაზრო ერობის თავმჯდომარეს; მან მიპასუხა: ქუთაისის მაზრაში ცხრა თემია კურსების მდგომარეობაში და დამტკიცება რომ დაგვიანდა მიზეზი ის არის, რომ სათანადო კომისიის წევრებს თავი ვერ მოუყარეთ.

რასა ჰგავს ეს? იმას ხომ არა, რომ სხვისი ქირი — ღობეს ჩხირიო.

როგორ? სათემო საბჭოებს არ ამტკიცებენ, თემებს შეუორგანოებლად სტოვებენ, მხოლოდ მიტომ, რომ კომისიის წევრებს კრებაზე მოსვლა ეზარებათ?!

როდემდის უნდა ითპინონ საბჭოებმა?! ნუ თუ ვადა არ არის?!

წინეთ, როდესაც ხმოსანს აირჩევდენ, გუბერნატორი თუ ვადამდის პროტესტს არ განაცხადებდა, ხმოსანი არჩეულად ჩაითვლებოდა.

ფიქრობ, ანლაც ასე უნდა იყოს. ალბად, თუ საერობო საბჭომ სათემო საბჭოს წინააღმდეგ ერთი თვის განმავლობაში არა სთქვა-რა, უკანასკნელი კანონიერად ითვლება.

თვარა სამაზრო კომისიამ, ვინცის, იქნება მთელი ერთი წელიწადი ყური წაიყრუს და არ დაამტკიცოს არჩევნები.

სამწუხაროდ, ამგვარადვე ყოფილა საქმე შორაპნის მაზრაშიაც.

თერჯოლის თემის ახლად არჩეული ხმოსნებიც არ ყოფილან ჯერ დამტკიცებული და ხალხი ჩივის, მის მიერ ნდობით აღჭურვილ ხმოსნებს რომ არ აპირაით მართვა-გამგეობა.

აქვს კიდევაც სსაჩივრო და სასაყვედურო: ვიდრე ახალი სათემო საბჭოები მოქმედებს არ დაიწყებენ, არც წესიერება დამყარდება, არც საინტარული და სწავლა-განათლების საქმე მოეწყობა, არც გზები გაკეთდება, არც გადასახადები აიკრიფება და არც რამე ეკონომიური გაუმჯობესება, ან შიმშილობასთან ბრძოლის თადარიგი იქნება შესაძლებელი.

ყურად-იღონ, ვის ხელშიც არის ძალა-უფლება. ნუ დაგვიბრუნებენ ძველის, დახვეწილი ბიუროკრატის დროს!

კვირი.

სოციალიზმისა და მიდის სხოპრება?

სოციალისტები ამბობენ, სოციალიზმი აუცილებლად განხორციელდება ქვეყანაზე და ის მოსპობს ყოველივე ბოროტებასო. დიდი უმრა ვლესობა მეცნიერთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა ევროპაში, ამერიკაში და ყველა განათლებულ ქვეყნებში არ იზიარებენ ამ აზრს: ამ უპრავლესობას სოციალიზმის განხორციელება შეუძლებლად მიაჩნია. მათი აზრით შესაძლებელი, რომ იყოს სოციალი-

ზმი, ეს დიდი უბედურობა იქნებოდა მთელი კაცობრიობისთვის.

კლემანსო, მაგალითად, რომელიც ერთი უუდიდესი პოლიტიკური მოღვაწეთაგანია თანამედროვე ქვეყანაში, რომლის გონიერი და ენერგიული მეთაურობის დროს მომზადდა საფრანგეთში დიდი ისტორიული საქმე, საქმე ბუმბერაზი მტრის დამარცხებისა, ამბობს, რომ სოციალიზმი ნიშნავს კალიფორნიიდან საროლინ-მდი ერთი უზარმაზარი კახარმის აგებას და მთელი კაცობრიობის ერთ კახარმაში მომწყვდევას.

ცხოვრება ამ კახარმაში აუტანელი იქნება, რადგან ადამიანი დაჰკარგავს რაც მისთვის ყველაფერზე უძვირფასესია — თავისუფლებას. იგი მანქანის ნაწილად გადაიქცევა და ნაყოფიერება მის შრომისა სწრაფად დაქანდება ძირს.

ვერ შექმნით ქვეყანაზე ისეთ ძალებს, რომელიც ყოველ საზოგადოების წევრს საქვეყნო საქმეზე ისეთი ენერჯით და ისე ერთგულად აამუშავებს, როგორც თავის საკუთარ საქმეზე.

ამიტომ სოციალიზმში, აუცილებლად დადგება ეკონომიური კრიზისი და საქმე კატასტროფით გათავდება.

ამიტომაც, რომ მიუხედავად სოციალისტების გაშვებულ პრობაგანდასა, განათლებულ ქვეყნებში სოციალიზმი ფეხი ვერ მოიკიდა.

არსად ქვეყანაზე თავისუფლებისათვის და სოციალიზმისათვის იმდენი სისხლი არ დაღვრილა, რამდენიც საფრანგეთში, მაგრამ დღეს საფრანგეთი მტკიცედ დგას საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ და-ნაცად ეკონომიური ცხოვრების საფუძველზე კერძო საკუთრების ნიადაგზე. 602 დებუტატში მთელმა საფრანგეთის ერმა რაღაც 65 სოციალისტი აირჩია. რას ნიშნავს ეს თუ არა სოციალიზმის უარყოფას.

სხვა ქვეყნებშიც არაფერი სანუგეშო არ მოეპოვებათ სოციალისტებს. მხოლოდ ნახევრად აზიურ გაუნათლებელ რუსეთში ვხედავთ ხიშტებით და ზარბაზნებით მოპოვებულ კომუნისტების ბატონობას, მაგრამ ვი იმ ბატონობას: ბოლშევიკების მიერ მშვიდობიანობის დაპირებით ჩათრეული რუსის ხალხი დაუბოლა-

ვებელ ომში ჩაება და სისხლში იხრჩობა. აი ესაა სოციალისტების მიერ აღთქმული კმაყოფილობა და ბედნიერება.

დაგვრჩა ჩვენი ქვეყანა, უაღრესად განვითარებული, მდიდარი, და სოციალიზმის კარებთან მისული. 130 დებუტატში 122 სოციალისტია. მაშ, თუ სოციალიზმი საშოთხეა, ქვეყანა ამ საშოთხეს საქართველოდან უნდა მოელოდეს. პატრვცემული ნოე ყორღანია კი ბრძანებს, რომ საქართველო ევროპიდან უნდა მოელოდეს სოციალისტურ წყობილობასო.

ეს გვჯერა მაგრამ, საქმეებს რომ უყურებთ, ვაი თუ დიდ ხანს დაგვიჭირდეს ცდა... ამას იმიტომ მოგახსენებთ რომ დიდი სოციალისტების მიერ დანიშნული ვადა სოციალიზმის განხორციელებისა გავიდა და სოციალიზმის სახსენებელიც არსადა სჩანს.

მე მინდა მოგახსენოთ, რომ ბაკუნინის, კროპოტკინის ფრ. ენგელსის და ბებელის აზრით, გასული საუკუნის მიწურულში სოციალიზმი უკვე უნდა განხორციელებულიყო. სჩანს ცოტა არ იყოს ანგარიში შეშლიათ.

თუ ჩერნიშევსკია მართალი და, მაშასადამე, კიდევ 1000 წელიწადი უნდა ვიცადოთ, რად გვინდოდა ჯერ სოციალისტური მთავრობა და პარლამენტი?


იმას ხომ ჩვენ კი არა, ჩვენი შვილი შვილებიც ვერ მოესწრებიან.

კოსტ. ლომთაძე

პ რ ე ს ა.

გაზ. „ერთობაც“ გრძნობს რომ ბათუმი საქართველოს ვერ ჩამოშორდება, და მას შესახებ სწერს:

„ჩვენ არ ვიცით ინგლისის გვემა ამ საკითხის გადაჭრის საქმეში. ერთი კი ექვს გარეშეა. დღემდის ეს იყო პოლიტიკა რყევისა. მარა ამ რყევაშიაც ერთი აშკარათ მოსჩანდა — პოლიტიკა არსებითად მიმართული იყო საქართველოს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ. ამ პოლიტიკამ ვერაფერ დააკმაყოფილა: ვერც დენიკინელთა გული მოიგო და მით უფრო საქართველო აიხმედრა და ჩვენს დემოკრატას მრავალი მწვავე ფიქრები აღუძრა.



დღის დღი.

გერმანიის დამოუკიდებლობა შეიძლება შეთანხმდეს უარი განაცხადდეს

ბრიტანიის სოციალისტური პარტია მე-3 ინტერნაციონალს შეუერთდა.

საბჭოთა მთავრობისა და ბალტიის მთავრობის შორის მოლაპარაკება.

კიევის მიმართულებით ბოლშევიკები შეტევაზე გადავიდნენ ლიტვაში ბერმონტი ძლიერ დამარცხდა. გერმანიის ჯარმა ლიტვა კიდევ დასტოვა.

სარატოვის ფრონტიდან ყუბანელთა წასვლა გრძელდება.

დონისა და ყუბანის ოლქებში დენიკინის მიერ პურის რეკვიზიციის ნიადაგზე გლენთა აჯანყება.

ლატიშთა ჯარმა რუსეთ-გერმანიის ძალთა გენერალური შტაბი ხელთ იგდო. შეტევა გრძელდება.

კიევიდან ბურჟუაზია გარბის. უმუშევართა რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევს.

საბჭოთა მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყო ესტლიანდია, ლატვა და ლიტვასთან.

კალუგაში ბოლშევიკებმა კონტრ-რევოლუციონური შეთქმულება აღმოაჩინეს. შეთქმულების მონაწილენი დახვრიტეს.

ბოლშევიკებმა აიღეს: სადგურ „კრუტი“, „გვრხნე ახტუბინსკი“ და ბეზროდნოე.

მოხალისეებმა აიღეს: ქ. პროსკუროვი და სად. კაზატინი.

მოხალისეთა ცნობებით ცარიცინის მიმართულებით ბოლშევიკების იერიშები მოიგერიეს. ბოლშევიკების პოლკები გენ. ულაგაის ცხენოსანმა ჯარმა სავსებით განადგურა.

წერილები:

კვერი: ახალი ბიუროკრატია.

კონ. ლომთაძე: სოციალიზმისკენ მიდის ცხოვრება?

დროა ამ რყევას ბოლო მოელოს. ორში ერთი: ან საჭიროა ძველი დიდი რუსეთის აღდგენა და ამ შემთხვევაში ბათუმის მისთვის გადაცემა, არა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება და ბათუმის მისთვის ჩაბარება. პირველი გზა ფუქი ოცნებაა. რაშია თვით ინგლისის მმართველი წრეები დარწმუნდნენ. ლოიდჯორჯმა მკაფიოდ გამოხატვა, რომ შეუძლებელია რუსეთში სამოქალაქო ომის გარეშე ძალის ჩარევით მოსპობა. დავგრჩა ერთად ერთი გზა. ეს არის საქართველოს სუვერენულ უფლებათა აღიარება და მისთვის დაბრუნება სამაჰმადიანო საქართველოსი, რაც ჩვენ ოსმალთა ხმალი მოგველიჯა.

ადრე თუ გვიან ინგლისის მთავრობამ ეს ერთად ერთი გზა უნდა აირჩიოს. რყევის პოლიტიკას ბოლო უნდა მოელოს.

ბათუმი ჩვენია. მას ვერავინ წაგვართმევს.

ლიახ ბ-ნო „ერთობის ტემო“
„ბათუმი ჩვენია, მას ვერავინ წაგვართმევს“ და ვერც არავინ წაგვართმევდა თუ არა თქვენი უილაჯო მაშინდელი სამხედრო „ორგანიზაციები“. ისეთი სისტემა რომლის მიხედვით სოფლის პროპაგანდისტი გაუჩინეთ კონტროლათ და ბრძანებლათ ისეთ ღენერალს, რომლის წინ დიდი რუსეთის სამხედრო ორგანიზაციებიც ქედს იხრიდნენ.

მილანის ვაზეთი „Koli“ ერთ ერთ უკანასკნელ ნომერში სწერს: „საქართველოს სოციალისტებმა და დემოკრატებმა შესძლეს მისი ეხლანდელ მდგომარეობის აღიარება. ერთი წლის ცხოვრების შემდეგ კავკასიის ეს რესპუბლიკა

არსებობს და იჩენს ცხოვრების და წესიერებისა და პროგრესისათვის ხელის შეწყობის უნარს.

არგენტინამ, რომელსაც უფრო ობიექტიურათ შეუძლია მდგომარეობის შეფასება, მოგვცა მაგალითი, რომელსაც ვიმედოვნებთ, მიჰყვება სხვა ნეიტრალური სახელმწიფოებიც, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის სასიამოვნო არ არის, რომ იტალიას, შეეძლო ეკისრა ინციტივა, რომელიც ამ ხალხში დიდ გავლენას მოუპოვებდა და მიუხედავად ამისა, იმდენი გამბედაობა ვერ გამოიჩინა, რომ ამ შემთხვევაში მაინც გამოეჩინა საკუთარი ნებისყოფა და საკუთარი პოლიტიკა“.

შეთანხმება სომხეთისა და აზერბაიჯანის შორის.

ამ შეთანხმებით, რომელიც მიღებული იქნა ქალაქ თბილისში მიმდინარე 1919 წლის გიორგობის 23-ს სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის ხატისოვსა და აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარის უსუბბეკოვის შორის, დადგენილია შემდეგი: 1) მთავრობები სომხეთისა და აზერბაიჯანისა პირობას სდებენ შესწყვიტონ ურთიერთ შორის დაწყებული სამხედრო შეტაკება და მომავალშიც აღარ მიმართონ იარაღს, 2) აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობანი იღებენ საჭირო ზომებს, რათა შესწორებულ იქმნეს ზანგეზურის გზები და აღდგენილი იყოს მშვიდობიანი მიმოსვლა. 3) სომხეთ აზერბაიჯანის მთავრობები პირობას სდებენ შეთანხმებით გადასწყვიტონ ყოველივე სადავო საკითხები, მათ შორის საზღვრების საკითხები, ვიდრე ამის შეწყობის საკითხი დადგენილებას არ მი-

იღებს სამშვიდობო კონფერენცია. უკეთეს საკითხის გადაჭრა ურთიერთ შეთანხმებით მიღწეულ ვერ იქმნება, ორივე სახელმწიფო ვალდებულია აირჩიოს ერთი გარეშე პირი, მედიატორე, რომლის გადაწყვეტილებაც სავალდებულო იქმნება ორივე მხარისათვის, დღევანდელ შემთხვევაში ამ გვარ გარეშე ნეიტრალურ პირათ ცნობილია ამერიკის ჯარის პოლკოვნიკი ჯემს ს. რეი. 4) სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობანი ირჩევენ თანასწორ რიცხვს დელეგატებისას ნოემბრის 26 ბაქოში განზრახულ კონფერენციაზე დასასწრებლად. დეკემბრის 4 აღნიშნული კონფერენცია თავის მოქმედებას გამოიტანს ქ. თბილისში, სადაც განაგრძობს მუშაობას, უკეთეს ორივე სახელმწიფო ურთიერთ შეთანხმებით საჭიროთ არ სცნობენ კონფერენციას სადმე სხვა ალთვას თბილისიდან გადატანას. აღნიშნული კონფერენცია განიხილავს ყველა საკითხებს, რომელნიც იწვევს უთანხმოებას სომხეთისა და აზერბაიჯანის შორის და უფლება ექნება გადასტრას საკითხები შეთანხმებითა და არბიტრაჟით. 5) აღნიშნული შეთანხმება მიღებულათ ითვლება სომხეთ-აზერბაიჯანის მთავრობათა წარმომადგენლების მასზე ხელის მოწერით, ხოლო ძალაში შედის შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ. სომხეთ-აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარენი ავალბენ მთავრობებს პირნათლად შეასრულონ ყოველი მუხლი უკვე მიღწეულ შეთანხმებისა, რის დასამტკიცებლად ისინი ხელს აწერენ შეთანხმების აქტს მიღებულს ქ. თბილისში ამა 1919 წელს გიორგობისთვის 23-ს, შედგენილ სამ ცალად: ინგლისურსა და რუსულ ენაზე, რომლის თითო ცალი ბარდება სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობათა თავმჯდომარეებს.

ალ. ხატისოვი. სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე. უსუბბეკოვი — აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარე. მოწმეები: გიგაჰკორი — საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. დ. ს. რეი — ამერიკის ჯარის პოლკოვნიკი და მოკავშირეთა უმაღლეს კომისარის მოადგილე.


სხვა და სხვა სწოვაები.

ბათუმის დენიკინელთა ვაზეთი „наше край“ შემდეგ ცრუ ცნობას ათავსებს თბილისის გაწმენდის შესახებ:

„თბილისიდან ჩამოსულები გვაობობენ, რომ თბილისის დაცლის დადგენილებამ დიდი არეულობა გამოიწვია; ხალხის დიდი გროვა მიაწყდა პეტრე დიდის ქუჩაზე განმარტებისთვის, რამიშვილმა განაცხადა რომ გასვლის ვადის გაგრძელება „მისამდის შეიძლება“.

მეტეხში მოთავსებულ ქართველ ბოლშევიკებს! ს. ქავთარაძეს, ერქომაიშვილს, კალანდაძეს და სხვებს ოქტომბერში წინადადებით მიუმართავთ საქართველოს მთავრობისთვის: „შუამდგომლობა გავაწვევით და მოსკოვის ბოლშევიკურ მთავრობასთან

შეგარიგებთო. ამ წინადადებას უშედეგოთ ჩაუვლით.



„აზერბეიჯანის“ დემოკრატიული რევოლუცია საქართველოს ელჩისა ბაქოში ბ. ალშიბაიასი, საიდანაც სჩანს, რომ შუამდგომლობა სომხეთსა და აზერბეიჯანის შორის ზანგეზურის საკითხში საქართველოს სომხეთის თხოვნით უკისრია.

გალიციაში ნახშირი აღარ მოიპოვება. მცხოვრებლები დემონსტრაციებს ახდენენ, მოითხოვენ: შაქარს, პურს და ნახშირს. ვარშავაში და ლოდზში პური ილევა.

ფინლიანდია აცხადებს რომ ის მონაწილეობას არ მიიღეს საბჭოთა რუსეთთან არავითარ მოლაპარაკებაში ფინლიანდიის მთავრობამ აცნობა მოკავშირეების უმაღლეს საბჭოს, რომ ის იზიარებს მოკავშირეების ნოტის შინაარსს ამ საკითხში, და არც აწი გადაუხვევს ამ გზას.

ხალხთა ლიგის პარიზში იწვევენ თუ ამას ვილსონი დასთანხმდა.

კაიოს პროცესი 14 იანვარს დაიწყება. დამცველის თხოვნა რომ კაიო დროებით იქნას განთავისუფლებული საპრობილედან, უარყვეს.

ბელგიამ და რუმინიამ პირობა შეპკრეს, რომლის ძალით ბელგიამ ყოველ თვეში უნდა უგზავნოს რუმინიას 50 ათასი ფუთი ნახშირი, სამაგიეროთ რუმინია აძლევს პურს 25 პროც. დაკლებით იმ ფასებზე რომელსაც რუმინია აძლევს პურში თავის აგენტებს.

მოკავშირეები ნოტიო მოითხოვენ რუმინიიდან რომ მან დაადასტუროს მოკავშირეების ერთგულება. უმაღლესი საბჭო მწუხარებას გამოხატავს რომ ვერ სცნობს შესაძლებლად დააკმაყოფილოს რუმინის მოთხოვნილება დასავლეთის საზღვრების შესახებ.

შევიცარი.

საავტაციო თანხა. ლოზანაში დაატუსადეს რამოდენიმე უცნობი პირი. რომელნიც ცდილობდნენ საფრანგეთში დიდი თანხის გატანას. მათ აღჰოჩნდათ საბუთები, საიდანაც ირკვევა, რომ ეს ფულები მიჰქონდათ ბალშევიკური პროპაგანდის მოსაწყობათ საფრანგეთში.


პილონეთი და საბჭოთა რუსეთი. „ჟურნალ დე ჟენევი“ ს ცნობით დენიკინისთვის 27-ს პილონეთს განუცხადებია თავისი სურვილი საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოსაგდებად.

მალტის ავტონომია მიანიჭეს.

ინგლისის მთავრობამ მალტელებს ახალი კონსტიტუცია დაუწერა; რომლის ძალით მალტი ავტონომიურად განაგებს თავის საშინაო პოლიტიკას საგარეო საქმეები სიმპერიო მთავრობის ხელში დარჩა. მცხოვრებლები დღესასწაულობენ თავისუფლებას.

საფრანგეთი.

ინგლისს საფრანგეთის ურთიერთობა. ინგლისის საფრანგეთ შორის



ურთიერთობა თანდათან რა უღლებდა. განხეთქილებას იწვევს ოსმალების, რუსეთის და სპარსეთის საკითხი. ევროპული პრესა ფიქრობს, რომ შესაძლებელია მომავალში განხეთქილების გაღრმავება ინგლის საფრანგეთ შორის, ამავდროს ეს პრესა აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ინგლის ამერიკას შორის უმთავრეს საკითხებში სოლიდარობა არსებობსო. საფრანგეთის პრესა მოითხოვს, რომ კავკასიაში გაგზავნილ იქნას სპეციალური მისია საფრანგეთის გავლენის განსამტკიცებლათ.

არჩევნები ჰუნგრეთში.

ჰუნგრეთში საარჩევნო ყუთთან მისვლა სავალდებულო იყო, ვინც არ გამოცხადდებოდა, ის ციხეში დამწყვდევით ისჯებოდა. ახალი კაბინეტის შედგენა ხუცამას მიანდეს.

ბულგარეთის ახალი კაბინეტი.

ანტანტთან ზავის ჩამოსაგდებათ შემდგომ ბულგარეთის კაბინეტში შედიან: სტამბულოვსკი — თავმჯდომარე და სამხედრო მინისტრი, კალოვი — სახალხო განათლებისა, ტერლაკოვი — გზათა, დიმიტროვი — შინაგან საქმეთა, მაჯაროვი — საგარეო საქმეთა, ბუროვი — ვაჭრობის მინისტრი. დანარჩენი ორნი ზომიერი სოციალისტები არიან. იუსტიციისა და შრომის მინისტროები მიანდეს დემოკრატებს, ფინანსთა მინისტრო — პროგრესისტებს. კაბინეტში ოთხი აგრარი შედის, თუმცა ტეოდოროვი სტამბულოვსკის კაბინეტის შემადგენლობაში არც შედის, მაგრამ იგი მაინც რჩება ბულგარეთის დელეგაციის თავმჯდომარედ სავაგო კონფერენციაზე.

ს ა შ რ ა ნ ბ ე თ ი.

ინგლის-საფრანგეთის კავშირი.

გარეშე საქმეთა სამინისტროში სერაირვეროუმ ინგლისის მხრით და პიშონმა საფრანგეთის წარმომადგენელმა გადასცეს ერთმანეთს ინგლისის და საფრანგეთს მიერ დამტკიცებული და ხელმოწერილი ხელშეკრულება გარანტიების შესახებ საქმე ეხება ვერსალში ხელმოწერილ ხელშეკრულებას, რომელიც საფრანგეთს ჰპირდება ინგლისის მიერ დახმარებას, თუ ვინცობაა გერმანიამ აგრესიული მოქმედება დაიწყო. სერაირვერომ და პიშონმა ხელშეკრულების აქტის ჩაბარების შემდეგ ოქმს ხელი მოაწერეს.

რუსეთი.

კონფლიქტი „დობროვოლია“-სა და ყუბანს შორის. ამ დღეებში ყუბანის მთავრობას ჯარის ატამანის მონაწილეობით ჰქონდა თათბირი მოხალისეთა ჯარის მიერ გამოცხადებულ ყუბანის ბლოკადის შესახებ, სადაც მთავრობის წევრის მოხსენების შემდეგ გაითქვინა იქნა დადგენილება: ფაქტური ბლოკადა ჩაითვალოს ყუბანის ეკონომიურ დამოუკიდებლობაზე თავდასხმათ მოხალისეთა ჯარის მხრივ; ვინაიდან საჭიროა საერთო ეკონომიური პოლიტიკის წარმოება, შექმნილ იქნეს განსაკუთრებული ორგანო პარიტეტულ

წარმომადგენლობის წესით, რომელიც მოაწესრიგებს საგარეო ვაჭრობის საკითხებს; მოხალისეთა მხრივ ამ ორგანოში მონაწილეობის საკითხი გადაიდოს მანამდე, სანამ გაუქმებული არ იქნება დენიკინის განკარგულებები საქონელის გატანისა და შემოტანის შესახებ. აღნიშნული დადგენილება ეცნო დენიკინს, დონისა და თერგის ატამანებს.

ყუბანის რადაში. ეკატერინოდარიდან მიღებულ ცნობის თანახმად ყუბანის რადის კავკასიის განყოფილების სახელით კაპლინმა განაცხადა, რომ ბიჩის პასუხისგებაში მიცემა დენიკინის მიერ დარღვევა ყუბანის კანონებისა; ამიტომ მან წინადადება შეიტანა, რათა შეწყვეტილ იქნეს მოლაპარაკება მოხალისეთა წარმომადგენლებთან, სანამ გაუქმებული არ იქნება ხსენებული განკარგულება; ამით ფერხდება ყუბანის მონაწილეობის საკითხის გადაჭრაც საერთო მთავრობის შესაქმნელათ მოწვეულ სამხრეთ რუსეთის კონფერენციაზე.

საბჭოთა რუსეთში. ამერიკის გაზეთ „ვორლდის“ კორესპონდენტს საუბარი ჰქონია ლენინთან. კორესპონდენტის კ თხვაზე — შესაძლებელია თუ არა შეთანხმება ბალშევიკებისა და მემარცხენე პარტიებს შორის, — ლენინს უპასუხია: „პრინციპიალურად ასეთი შეთანხმების წინააღმდეგ ჩვენ არაფერი გვაქვს. ჩვენ მომხრე ვართ გავაუქმოთ „ჩრებვიჩიკები“, საბჭოში შემოვიყვანოთ სოც. დემოკრატ მენშევიკები და მემარცხენე ს.რევოლიუციონერები, თანახმა ვართ სოციალიზაციის და ნაციონალიზაციის კითხვა შევარბილოთ, მომხრე ვართ აგრეთვე უცხოელებს მივსცეთ კონცესიები და საერთოდ შევამსუბუქოთ რეჟიმი იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო ომი შეწყდება, ოღონდ საბჭოთა ძალა უფლება კი უნდა დარჩესო. მენშევიკები მოითხოვენ ამ ჟამათ ყველა მემარცხენე ჯგუფების საბჭოში შეყვანას, ჩვენ შეიძლება ამათში დავუთმოთ, თუ კი ობიექტიურმა პირობებმა გვაჩვენეს, რომ ამ დათმობით შეიძლება სამოქალაქო ომის შეწყვეტა. შეკითხვაზე — შეიძლება თუ არა გერმანია-რუსეთის კავშირი? — ასეთი კავშირი ფორმალურათ შეუძლებელია, ისე კი, გერმანელი ინსტრუქტორები მუშაობენ ჩვენს სამეურნეო და სამხედრო დარგებში, — უთქვამს ლენინს.

თურქესტანში. ბაქოს გაზეთების ცნობით თურქესტანში სპარსეთის საზღვარზე ბალშევიკები უკანასკნელ ხანებში დიდ მუშაობას აწარმოებენ; მათ აკრძალეს ოურქსეთისკენ მგზავრობა. ბალშევიკთა შეიარაღებულ ძალების უფროსმა ბრძანება გასცა, რათა მშვიდობიანი ნიციზორებლები რკინის გზის ლიანდაგიდან 5 ვერსის მოშორებით იქნენ გადასახლებულნი. ახლო მომავალში თურქესტანში მოსალოდნელია დიდი შეტაკებები.

გენ. იდენიჩის კრიზისი. მოხალი სეთა ჯარის გაზეთ „გოლოს როს.“ ცნობით ბალშევიკების წინააღმდეგ ბალტიის მხარეში მომქმედ მოხალი-

სეთა ჯარის უფროსის — გენ. იულენიჩის საქმე მეტათ ცუდათაა. ინგლისის დახმარება, რაზედაც ასე ბევრს ლაპარაკობდენ, ძალიან მცირეა; ინგლისელებს არ შეუძლიათ ბრძოლაში პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ არც ზღვაზე და არც ხმელეთზე; მათი დახმარება ბალტიის ზღვისა და ფინეთის ყურეს ბლოკადით განისაზღვრება. გენ. იულენიჩის საგრძნობ დახმარებას გაუწყვედენ ესტონია და ფინლიანდია იმ შემთხვევაში, თუ დენიკინი და კოლჩაკი იცნობდენ ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას. ბალშევიკები ამ ჟამათ ცდილობენ იულენიჩის არმიის ქ. გლოვიდან მოვლას; ეს ოპერაცია საბოლოოთ გადაწყვეტს პეტროგრადის ბედს. ლონდონიდან მოსულ უკანასკნელი ცნობების თანახმათ გენ. იულენიჩმა სარდლობას თავი დაანება და მის ალაგას გენ. საიდონერი, ესტლანდიის ჯარების სარდალი, დაინიშნა.

ბოლშევიკების შეპყრობა ადესაში.

გემ „გეორგი“-ზე დატუსალებულ იქნა 18 ბოლშევიკი, მათ შორის საბჭოთა პირველი პოლკის უფროსი თავი დადიანი.

დენიკინი და რუსეთის საერთო მთავრობის საკითხი.

ყუბანის საკანონმდებლო რადაში ი. მაკარენკომ კაკეთა ვრცელი მოხსენება ყუბანის წარმომადგენელთა და დენიკინს შორის წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ. „პირველ შეხვედრის დროს ვ. ხარლამოვმა გააცნო გენ. დენიკინს დელეგაციის (ყუბანის) შეხედულება საერთო სახელმწიფოებრივ მთავრობის შექმნის შესახებ; ლაპარაკი საოლქო წარმომადგენელთა პალატას შეეხებოდა. გენ. დენიკინმა მოისმინა ეს განცხადება და შემდეგ კატეგორიულათ განაცხადა, რომ არ შეიძლება ლაპარაკი საერთოდ სახელმწიფოებრივ მთავრობაზე, ვინაიდან ასეთი უკვე არსებობს და იგი (დენიკინი) ძალაუფლებას არავის დაუთმობს არსებობს ნაციონალური დიქტატურა და რუსეთიც ამ დიქტატურის ქვეშ უნდა იქნეს აღდგენილი. დიქტატურასთან არსებობს სათათბირო ორგანო, რომელიც მიაც წევრთა რიცხვის ნახევარი შეიძლება არჩეულ იქნეს მცხოვრებლების მიერ, ხოლო ნახევარს ნიშნავს დიქტატორი. მინისტრები დიქტატორის მიერ ინიშნებიან და მხოლოდ უკანასკნელის წინაშე აგებენ პასუხს. ნაციონალურმა დიქტატურამ უნდა იარსებოს, ალბათ, ორი წელი, რის შემდეგ შესაძლებელი იქნება ნორმალური მუშაობა.

მეორე თათბირი გენ. დენიკინთან დელეგაციას ჰქონდა 15 აგვისტოს. ხარლამოვმა გააცნო დენიკინს საკითხი დონის ყაზახობის ავტონომიურ უფლების შესახებ. დენიკინმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია დეტალურათ განიხილოს ეს საკითხი, მაგრამ პრინციპიალურათ იგი ამ უფლების წინააღმდეგი არ არის; მისთვის გაუგებარია მხოლოდ საკითხი ჯარის შესახებ. ხარლამოვმა განმარტა ეს საკითხი და სხვათა შორის, იხმარა სიტყვები „ავტონომიური ჯარი“. ამ სიტყვებმა დიდი გა-

ვლენა მოახდინეს დენიკინზე და მან წამოიძახა: ვინც ავტონომიურ ჯარზე ლაპარაკობს, უკვე გამოცხადდა მოღალატეა. ხარლამოვმა ამის შესახებ პროტესტი განაცხადა. დენიკინმა განაცხადა, რომ მას შეუძლია დაუშვას განსაკუთრებული ჯარის არსებობა, მაგრამ შეუძლებელია ლაპარაკი ცალკე ყაზახთა ჯარზეო. მოლაპარაკების მეორე ნაწილი სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოებრივ მოწყობას ეხებოდა; ამის შესახებ დენიკინმა განაცხადა, რომ სანამ იგი ცოცხალია, არ შეუძლია დასთანხმდეს რაიმე საკანონმდებლო ორგანოს შექმნაზე; მას არ სურს მრავალი „სოფლებების“ ხელში ყოფნა და მომხრეა მხოლოდ სათათბირო ორგანოსი. შემდეგ დელეგაციას აინტერესებდა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს იარსებებდა სათათბირო ორგანო და არის თუ არა იმედი, რომ მოსკოვის აღების შემდეგ მოწვეული იქნება საკანონმდებლო ორგანო. ამასზე გენერალმა განაცხადა, რომ იგი არ დაუშვებს თავისი უფლებების შეზღუდვას მანამდე, სანამ არ იქნება შესაძლებელი დამფუძნებელი კრების მოწვევა. ასეთ ნათელ პასუხის მიღების შემდეგ განაგრძობს მაკარენკო, ჩვენ არ შეგვეძლო მთავრობის შესაქმნელათ მუშაობის გაგრძელებაო.

ახალი ამბავი.

სპ. კედისა ლექცია. სპირიდონ კედისა ლექცია, რომელიც 25 ნოემბერს უნდა შემდგარიყო ქუთაისის ქალაქის თეატრში, გადაიდო კვირას 30 ნოემბრისთვის, იმავე თეატრში დილის 12 საათისთვის. გაყიდული ბილეთები ძალაში რჩებიან.

ახალი წიგნები. რედაქციამ მიიღო ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილი ახალი წიგნები: 1. „ისტორია ფარული საზოგადოების“. 2. „ფარული საზოგადოების დაარსების მიზეზი“. 3. „სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი ფარული საზოგადოების წინაშე“. 4. „საქართველოს მოსპობა და ქართველი ერის გარუსება“. 5. „ოსების ჩამოსახლება ქართლში“.

ქალაქის თეატრში. დღეს 27 ნოემბერს ქალაქის თეატრში წარმოდგენილ იქნება „შემოდგომის ჰანგები“.

ყაჩაღების მოკვლა. ბელაგორის რაიონის კომისარის მიერ ზესტაფონში გამოგზავნილმა ყაჩაღებმა, გიორგი ჭაჭიაშვილმა და ფანი ორჯონიკიძემ გზაში გაგყვება დააპირეს, როცა მილიციონერებს სროლა აუტეხა ჩასაფრულმა ყაჩაღების ამხანაგებმა. სროლის დროს ყაჩაღები დახოცეს.

გორის მაზრაში. ყაჩაღთა ბრბომ სოფ. ატეში იარაღი აყარა ადგილობრივ გვარდიას და მილიციას, და ტყვედ წაიყვანა ერობის თავმჯდომარე ჩხლაძე. მათ უკან დაედევნა გორის მაზრის ცხენოსანთა რაზმი და ქალაქის მილიცია. ყაჩაღთა ბრბოს სოფ. ბებურასთან წამოეწიენ. მოკლეს 4 ყაჩაღი. დაჭრეს 8. ქრილობისგან გარდაიცვალა

ერობის თავმჯდომარე ჩიხლაძე.

ქართველი ტყვეები უცხოეთში. უცხოეთში შემდეგი ქართველი ტყვეები იმყოფებიან: საფრანგეთში, ხანანაშვილი ალექსანდრე და ქრისტეფორე თურქია. ბელგიაში, ბერიძე ნიკოლოზი და წიქა დადემქელიანი. ეგვიპტეში გოხელია აკაკი, აბრამიშვილი ისაკ. არჩვადე გიორგი, შაქარაშვილი ივანე, აბესაძე ვარდენ, წანკაშვილი ზაქარია, და თედორაშვილი მიხეილ. აღნიშნული ტყვეები ამ წამად საქართველოში იგზავნებიან.

შაქარი და ფქვილი ამ მოკლე დროში ბათუმში ნიუიორკიდან დიდალი შაქარი და ფქვილი შემოვა საქართველოს რესპუბლიკისთვის.

გ. ბარნოვს. სენაკის სამაზრო ერობის გამგეობამ „ერთობის“ რედაქციას ვ. ბარნოვის სასარგებლოთ 3 ათასი მანეთი გადასცა.

უცხოეთში პირველი ჯგუფი სტუდენტებისა დღეს ხუთშაბათს 27 ნოემბერს გაემგზავრება, მეორე ჯგუფი 4 დეკემბერს, მხოლოდ მესამე ჯგუფი 11 დეკემბერს.

მეფუტკრეობა.

წერილი II.

ჩვენი ქვეყნის საუცხოვო ბუნება თითქმის მუდმივად უცვლელ დარგისათვის ხელის შემწყობელია, და მიი უმეტეს მეფუტკრეობისათვის. აქაური სამხრეთის ზომიერი ბუნება, უხვი ბალახები, მცენარეები, ტყეები და ბოსტნეულობა და გარდა ამისა მთა გორაკთა შუა ბუნებით მოწყობილი უთვალავი ხეობები თითქოს პირდაპირ უთხოვებენ ჩვენ ხალხს მეფუტკრეობისაკენ, მაგრამ ჯერ ამისთვის ჩვენ კიდევ არ მოგვიცლია, გვეტყობა, და თუ ვისმეს მთა ბარის მცხოვრებლებს აქვს პატარ-პატარა საფუტკრეობები, ისიც უმეტეს ნაწილად ადამის დროის პირობებში და სრულიად უმეცარად ეპყრობიან და შეუგნებლად უვლიან ამ უტყუარ წყაროს სიმდიდრისას და საზოგადოების კეთილ-დღეობისას.

ასეთი გარემოების მიხედველი ქუთაისის 1 მეფუტკრეობის ამხანაგობა შეურყეველ მიზნათ ისახავს ფართოდ გაავრცელოს ჩვენ საზოგადოებაში ცოდნა და გონიერი მოვლა ფუტკრებისა. მან მოიზომა საფუტკრე ადგილი ჯერ-ჯერობით სოფ. ზეგნის მთა ბარიან და ხეობებიან მიდამოებში, სადაც უკვე შეიძინა იქაური მცხოვრებლებიდან 80 ძირზე მეტი ფუტკარი, რომლებიც ყველა პრიმიტიულ როფებშია მოთავსებული. გამგეობა ხსენებული ამ ხანაგობისა, თავისი მუყაითი და მოუწყინარი ენერჯით აღსავსე თავმჯდომარე მ. დონ დამიანე სააკაშვილით განაგრძობს ღრმა რწმენით ამ საქმის წინ წაწევას და სასურველ ნაღვალზე დაყენებას. გამოწერილი აქვს მას თბილისიდან 100 ცალი დადან - ბლატის სისტემის ბუკები, შეიძინა მოწამეთის და კურსების საფუტკრეებისათვის ასეთივე ბუკები რიცხვით 30, რომლებშიდაც უკვე

ყავს გადასხმული მოწამეთაში და კურსებში შეძენილი ფუტკარი და რომელიც გამგეობამ განიზრახა შეუერთოს ზეგნის საფუტკრეს.

3.

გოჭოლვა.

კვირას, 30 ამა ნოემბერს, დღის 12 საათზე ვაჭთა პირველი გიმნაზიის (კლასიკურის) დარბაზში, მისი მალაღობი ყოვლად უსამღვდელოესობის ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარის წინადადებით, ქართული გალობის მოყვარულთა წრის შესადგენათ გამართული იქნება საზოგადო კრება. კრებაზე განხილული და დამტკიცებული იქნება წრის წესდება. ასარჩევია გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრები.

პატივისცემით ვსთხოვთ ყველას, ვისაც კი აინტერესებს ჩვენი გალობის აღორძინების საქმე, კრებას დაესწროს.

წრის მომწყობი კომიტეტი.

ქართული გალობის მოყვარულთა წრის წესდება.

§ 1. ქართული გალობის მოყვარულთა წრის მიზანი არის: ძველი ქართული გალობის აღდგენა, მისი მეცნიერულათ გამოკვლევა და დამუშავება და მოძრავი კურსების საშუალებით გალობის ხალხში გავრცელება.

§ 2. წრეში მონაწილეობა შეუძლია ყველამ მიიღოს განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა, სქესისა და წლოვანებისა.

§ 3. წევრები არიან: საპატიო, რომელიც შემოიტანს წრის სასარგებლოთ ერთდროულათ (კრება გამოიმუშავებს) მან., ან რაიმე საყურადღებო სამსახურს გაუწევს ქართული გალობის საქმეს. ნამდვილი წევრი, რომელიც წლიურათ იხდის „—“ მან. და მხარე, რომელიც ყოველ წლიურათ შემოაქვს წრეში საწევრო გადასახადზე ნაკლები.

§ 4. წრეში ირიცხებიან წევრებათ ეკლესიის საბჭოს ყველა წევრები, რომელიც ამის სურვილს განაცხადებს და ყოველი მათგანი იხდის საწევრო გადასახადს იმდენს, რამდენსაც წრის ყოველი წევრი.

§ 5. ყოველ ეკლესიას, რომელიც კი ჩაეწერება წრეში, ნება ეძლევა გახსნას განყოფილება, რომლის საქმეებსაც აწარმოებს საეკლესიო სამრევლო საბჭო წრის გამგეობის ხელმძღვანელობით.

§ 6. წრის განყოფილება აგროვებს თავის საწევრო გადასახადს და შემოწირულობას, თავისი ეკლესიისთვის ადგენს მგალობელთა გუნდს, აძლევს მას ჯამაგირს, თუ რომ ეს საჭირო იქნება და სხვ.

§ 7. წრის საქმეებს აწარმოებს წრისაგან არჩეული გამგეობა, რომელიც შესდგება: თავმჯდომარის, მისი ამხანაგის, მაღარის, საქმის მწარმოებლის და „—“ წევრისაგან, რომელთაგან პირველი ოთხნი შეადგენენ გამგეობის პრეზიდიუმს, რომელიც

აწარმოებს მიმდინარე და სასწრაფო საქმეებს.

შენიშვნა: გამგეობის ხსდომებს ესწრებიან ხმის უფლებით წრეში მიღებული ეკლესიების საბჭოთა თავმჯდომარეები, როცა მათ შეძლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ კრებებში.

§ 8. წრეს ჰყავს სარევიზიო კომისია, რომელიც შესდგება სამი წევრისაგან, რომელსაც ირჩევს საზოგადო კრება სამი წლის ვადით.

§ 9. წრის ჩვეულებრივი კრება ხდება წლის ბოლოს, არა ჩვეულებრივი საჭიროებისდაგვარათ.

§ 10. საზოგადო კრებას, თუ წევრთა რიცხვის ნახევარი დაესწრო, კანონიერია; მეორეთ კი რამდენიც არ უნდა დაესწროს.

შენიშვნა: გამგეობა ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს საზოგადო კანონით.

§ 11. საზოგადო კრებას ხსნის გამგეობის თავმჯდომარე და კრების თავმჯდომარეს კი ირჩევს კრება გამგეობის წევრების გარეშე.

შენიშვნა: კრებაზე საკითხები ხმის უმეტესობით სწყდება.

§ 12. წრეს აქვს ქუთაისში გალობის კურსები, სადაც თავს იყრიან წრეში ჩაწერილი ეკლესიებიდან წარმოგზავნილი და ყველა მსურველი, რომელნიც შეადგენენ ამა თუ იმ ეკლესიის მგალობელთა გუნდს.

შენიშვნა: არა წევრი იხდიან სასწავლო ფულს, რომლის რაოდენობას საზღვრავს ხოლმე წრის გამგეობა.

§ 13. წრეს თავისი საშუალებით ჰყავს სანიმუშო გუნდი ქუთაისის საკათედრო ტაძარში, რომელიც გალობს მეორე გუნდათ ყოველ წირვა-ლოცვაზე კვირაუქმე დღეებში და შემთხვევის და გვართ სხვა ეკლესიებშიდაც.

§ 14. წრეს ჰყავს განსაზღვრული ჯამაგირით გალობის მკოდნე ინსტრუქტორი, რომელიც მეცადინეობს კურსებზე და ლოტბრობას უწევს საკათედრო ტაძრის სანიმუშო მგალობელთა გუნდს.

§ 15. თუ ჩვენი ეპარქიის რომელიმე კუთხე მოისურვებს თავისი საშუალებით მოაწყოს მოძრავი კურსები, წრის გამგეობა ხელმძღვანელობას უწევს მას.

§ 16. კურსების მოწაფეებს კურსის დამთავრების შემდეგ, თუ კი ისინი ღირსნი აღმოჩნდებიან გალობის მკოდნეთაგან გამოცდის შემდეგ, ეძლევათ წრის გამგეობისაგან სათანადო მოწმობა.

§ 17. წრის საშუალებას შეადგენს: ა) საწევრო გადასახადი, ბ) კერძო პირთა, საკრედიტო დაწესებულებათა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა და ორგანიზაციათაგან კეთილნებულობითი შემოწირულება, გ) ყულაბებით და-სალამოებისაგან შეგროვილი ფული და სხვ.

§ 18. წრეს აქვს საკუთარი ბეჭედი.

§ 19. ამ წესდების თვითოეული მუხლი შეუძლია წრის საზოგადო

კრებას შესცვალოს, როგორც ამას საუმჯობესოთ დაინახავს, და, თუ საჭირო იქნება, მისი პრეზიდენტი ბიცი დაუმატოს.

კორესპონდენცია.

ს. სიქთარუა. (შორაპ. მაზრა). ეს სოფელი მართლაც ბოროტების ბუდეა. ქურდობა, ბაცაცობა, ყაჩაღობა და ყოველივე უსამართლობა აქ არის გამეფებული. მიუხედავად ამისა, რომ სიქთარვლები დიდი მშრომელნი არიან, რამოდენიმე პირის წყალობით ჩირქი ეცხება სოფელს. ბოროტობასთან უმეტესათ უნდა იბრძოდოს ინტელეგენციამ, მაგრამ ინტელეგენტი ორი თუ მოიპოვება სოფლად, მათი უმრავლესობა გაფანტულია სხვა და სხვა ქალაქებში. სოფლებში აღმოაჩინეს ისეთი პირები, რომლებიც თურმე მშრომელ გლეხობას, რომელთაც დღე და ღამე არ ძინავთ, რომ შავი დღისათვის შეაგროვონ ორიოდ გროში „ბაეს“ აწერდენ და ვინც უარს იტყობდასი კვდილითაც კი ეშუქებოდნენ. კვირას ნოემბრის 16 სიქთარუსის კოოპერატივის დუქანთან ასამართლებდნენ პარმენ ბელელაძეს და კოწია თამბერიძეს, რომელნიც დაჭერილი მიეყვანა კარპიონ ბარბაქაძეს. როგორც გამოძიებამ დაგვანახვა, ამ აჯანჯაკებს შტაბიც ქონიათ დაარსებული სადაც თურმე სწყდებოდა „ბაჭების“ გაწერას საკითხი. ამ შტაბში ზოგისთვის სიკვდილიც დასჯაც კი გადაუწყვეტიათ. დამნაშავენი აღმოჩნდნენ შემდეგი პირები: 1) მინაგო რომაქიძე სიქთარუსის სოციალ დემოკრატების „ბგლადი“, რომელიც თერჯოლის თემის საარჩევნო სიაში სოციალ-დემოკრატების მხრივ კანდიდატათ იყო შეტანილი. 2) კოწია თამბერიძე, სიქთარუსის ადგილების გამანაწილებელი კომისიის წევრი. 3) პარმენ ბელელაძე, ასისთავი 4) ვასილ ცხადაძე, (თერჯოლეელი) და კალენიკე ჰამკვეტაძე (რუფოთელი) ორი ამათგანი: პარმენ ბელელაძე და კოწია თამბერიძე სოფელმა გაასამართლა—და წესიერად დასაჯა. სხვები კი დარჩენ ჯერჯერობით უვნებელნი. ხალხი ასამართლებს დამნაშავეთ. და ადმინისტრაციამ არც კი იცის საქმის ნამდვილი ვითარება? ასეთ საკითხებში წვრილ ერთეულებს დიდი მნიშვნელობა აქვს, და რათ არ უჩქაროს საზოგადო ერობა თერჯოლის თემის ხმოსნების დამტკიცებას, როცა შესაძლებელია (კოტაოლნად წესიერად საქმის წაყვანა.

ბატონებო! შეისმინეთ, დაიჯერეთ სინამდვილე, მოუჩქარეთ ხმოსნების დამტკიცებას.

დემოკრატი.

რედაქტორი - სარედაქციო

კოლეგია.

იუიღება შემთხვევით წითელი ხის კაბინეთის პიანინო, ათი ათას მანეთათ, არქიერის გორა, ნადარევიშვილის სახლში.